



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გენაძე ელდარ შალვას ძე

გენაძე ელდარ შალვას ძე (დ. 27. IX. 1945, ზესტაფონი), მომღერალი (ბარიტონი). საქართვე. სახ. არტისტი (1984).

1971 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვ. ვოკალური ფაკ-ტი (პროფ. დ. ანდლულაძის კლასი). 1970 შედგა გ-ის დებიუტი თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე (კიაზოს პარტია, ზ. ფალიაშვილის „დაისი“). 1974-იდან იგი ამ თეატრის სოლისტია და წარმატებით ასრულებს ბარიტონის წამყვან პარტიებს, რ-თაგან აღსანიშნავია ბელკორე (გ. დონიცეტის „სიყვარულის ნექტარი“), რიგოლეტო, იაგო, და ლუნა, დი პოზა, ჟერმონი (ჯ. ვერდის „რიგოლეტო“, „ოტელო“, „ტრუბადური“, „დონ კარლოსი“, „ტრავიატა“), დონ ჟუანი (ვ. მოცარტის „დონ ჟუანი“) სილვიო (რ. ლეონკავალოს „ჯამბაზები“), სკარპია (ჯ. პუჩინის „ტოსკა“), ელეცკი (პ. ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“), ალეკო (ს. რახმანინოვის „ალეკო“), მურმანი, კიაზო (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“), ბერდო (რ. ლალიძის „ლელა“) და სხვ.

ენვეა საკონცერტო მოღვაწეობას მდიდარი ვოკალური რეპერტუარით (რ. შუმანის „სიმღერათა წრე“, ო. თაქთაქიშვილის „7 ლექსი“, მისივე ციკლები ა. წერეთლისა და ს. ჩიქოვანის ლექსებზე: ი. ს. ბახის, გ. ჰენდელის, ვ. ა. მოცარტის, მ. გლინკას, ა. დარგომიჯსკის, პ. ჩაიკოვსკის, ს. რახმანინოვის, დ. კაბალევსკის, დ. არაყიშვილის, ზ. ფალიაშვილის, მ. ბალანჩივაძის, შ. მშველიძის, ს. ცინცაძის, რ. ლალიძის და სხვა ქართვე. კომპოზიტორთა ნაწარმოებები). გასტროლები გამართა ყოფ. სსრკ და საზღვარგარეთის ქ-ებში. 1985 ლენინგრ. სახელმწ. ფილარმონიაში დაიდგა ვერდის „ნაბუქო“, სადაც გ-მ ნაბუქოს პარტია შეასრულა.

გ-ის შესრულება გამოირჩევა ფართო ვოკალურ-არტისტული დიაპაზონით, მაღალი სცენური კულტურით.

ლ. ესაძე
